წვიმაში

დღეს მიკვირს, ისე როგორ გადავრჩი,
რომ ოდნავადაც კი არ დავსველდი
ისეთ ქუხილში, ისეთ ავდარში
მე – ამ დროების მეათასედი.

ქარ–წვიმა იყო, თუ სროლა ისრის,
სამაგალითოდ შენაქუჩების.
მე მოვიარე საავდრო ნისლში
დედაქალაქის ყველა ქუჩები.

და მერე, როცა ჩვეული რიგით
გავხსენ რუსთველის ქუჩის ურდული,
დაიგრუხუნა თბილისის ირგვლივ
და წამოვიდა წვიმა შურდულით.

გავხედე: თრთოდნენ ქარ–წვიმის ხმაში
ქუჩები, ბევრჯერ გადანათელი,
მარტო გამზირზე არ წვიმდა მაშინ
და მარტო გამზირს ადგა ნათელი.

მაგრამ უეცრად იქუხა ისევ
მეტ გახელებით და გამძაფრებით.
და გამზირიდან ღრუბლიან ცისკენ
გაჩნდნენ ქარის და წვიმის ძაფები.

ბევრი ვეომე ძლიერ ზენაქარს,
ჩემს მშობელ ქუჩას თავს ვევლებოდი.
ბოლოს საფარი რომ არ მენახა,
შესაბრალისად დავსველდებოდი.

ავდართან გმირულ ბრძოლებით დაღლილს
არსად რომ თავი არ დამეხარა:
გადამეფარა ქაშვეთის თაღი,
გადამეფარა და დამეხმარა.

წვიმა კი რბოდა როგორც აფთარი,
ცას გაუშავა ნაზი ღაწვები,
და მე ვხედავდი, წელში გამტყდარი,
როგორ წვებოდნენ ქარში ნაძვები.

ორბელიანის საფლავთან მდგარმა
ქალაქს გავძახე ლექსი ქართული,
და რაწამს ყალყზე ამდგარმა ქარმა
მოინახულა ჩემი სართული, –

იმ წამს წარსული დიდების ძალით
შეუჩერებლივ ავფრინდი ცამდე,
მერე ავენთე, ვით ნაკვერჩხალი,
და ნარიყალას კედელთან დავდექ.

აქ ვაჟკაცურად ვმღეროდი მართალს
მარადისობით გადანისლული,
აქ, ნარიყალას ხავსიან კართან,
დაეცა ჩემი ამაყი სული,

ვხედავდი: თრთოდენ ქარწვიმის ხმაში
ქუჩები ბევრჯერ გადანათელი...
მარტო ჩემს ირგვლივ არ წვიმდა მაშინ,
მარტო ჩემს ირგვლივ იდგა ნათელი.

1940